

# ლიტერატურული განები

№10 (362) 24 მაისი - 6 ივნისი 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ეკა ქაჯაია

\*\*\*

რა საშიში ხარ, სილამაზევ,  
აი, ეს ვერხვი,  
აყვავებული,  
ავისმომგვრელ თან მგვრის შვებასაც,  
რა ლამაზი ხარ, —  
ეუბნები და გინდა, ხელის  
სამკაულივით მის სანდო მკლავს  
თოკიშეაბა...

რა საშიში ხარ, სილამაზევ,  
აი, ეს ბეწვის  
ორ ნაპირს შორის გაკიდული  
ხილის აკიდო,  
ერთი სული აქვს, აგაფაროს თვალებზე  
ცრემლი,  
შუა წელიდან  
შუა ხევში გადაგიდოს...

რა საშიშია სილამაზე,  
აი, ბილიკი,  
ეშვება თავქვე,  
მღინარისკენ გაგინაპირებს,  
რა ლამაზი ხარ,  
რა საშიში, —  
ამბობ და იქვე  
ჩამუხლები  
და ბავშვივით გინდა, ატირდე...

IV-V









## ეკა ქაჯაია

\*\*\*  
ჩემი სახლის წინ  
ნაზამთრალი ალვები გახმა,  
სულ მაღლე ქარი გადაინვენს მეღლავზე მოცელვით,  
მე თქვენი მიკვირს,  
როგორ გყოფნით, ხეებო, ძალა —  
კვდებით...  
ცოცხლდებით...  
ისევ კვდებით...  
ისევ ცოცხლდებით...

ისე ჰყენით, სულ არ ჰყავდეთ  
იმედებნაკლულოთ  
და ივიწყებდეთ ჩვეულებას ალარ  
ყოფნისას,  
დაუეჭვებლად, ისე ენდოთ ბუნების  
კანონს,  
გრამიც არ დაგყვეთ შიში  
წინა ყვავილობისა...

მე ვიცი, თქვენი თავდაკარგვა  
ახლა რას ნიშნავს  
და მაინც რატომ თანავუგრძნობ  
მეტად იმ ალვებს,  
სიციის პირველ ელდაზევე  
რძე რომ გაუშრათ  
და ზამთრის მერე ფოთლები ვერ  
გამოიტანეს...

\*\*\*  
სიყვარულის ხევ,  
დათესილო განა ყამირზე, —  
გულმი,  
გულისვე წვეთოვანით გრწყავენ  
ალისფრად,  
მთელი სიცოცხლე სისხლს გისხამთ და ძლივს  
იყვავილებ,  
ერთ დღეში გახმობს უნაზესი  
წვეთიც შხამისა.

\*\*\*  
მეგობარმა მოგვიყვა  
ერთხელ  
(თუმც გამაკვირვა მე ამ ამბის  
მაშნ ავ-კარგმა),  
რომ ზღვაში შესულს უღალატა  
უეცრად ფეხშა,  
რომელიც ერთ დროს  
აფხაზეთის ომში დაკარგა.

მეც ეს ამბავი თავს მახსენებს  
მაშინვე რატომ,  
როდესაც გულის ამომძახის  
ხმა სამარიდან:  
— მე შემიძლია,  
ერთხელ კიდევ რომ გიღალატო  
და ერთხელ კიდევ ცოცხალივით  
მოკვდე თავიდან.

\*\*\*  
ვენთე,  
მაგრამ მზის გამოსაცელად  
არ ვაკარებდი სხივებს ცივ ნიავს,  
— ფერი იცვალე!  
— იცვალე ფერი!  
ვამბობ:  
— არც როდის არ  
შემიცვლია...  
ვატარე დიდხანს ფოსფორის  
ველზე,  
ვანც მოღალატედ ხშირად  
მიცვნია  
(იქნებ ალარც ჰეგვს, დაჭერას  
ელვის),  
უარვყო, მაინც არ  
შემიძლია...  
გახსოვს?  
მივდევდი პატრუქს ცეცხლივით,  
ვეკიდე ჩემს გულს  
დაუღალავად,  
მეეითხებოდი, ეჭვით  
სხეული:  
— თუ სინათლე ხარ,  
რატომ არ ჩანხარ...  
რატომ არ ჩანან  
მზიან პარმალზე  
მანათობლები  
ჩენენს შორი-ახლოს,  
— ერთხელაც უნდა  
შემოგალამდეს,  
ციცინათელა რომ  
დაინახო...

\*\*\*  
ვინც გამენდო,  
— შეს ღალატში ბრალი  
არ მაქვს,  
ტყვია ჩემი ბრმაა,  
სხვათა ვარ ზვარაკი,  
მიუტევე,  
მაგრამ ღმერთო,  
შე კი არა —  
თურმე ჯვრიდან გარდმოვხსენი  
ავაზაკი.

\*\*\*  
ვინ იფიქრებდა,  
ზღვა რეგსმე გამოგვრიყავდა  
და წყვირცილისგან დავაშრობდით  
ბობოქარ ლეთეს,  
თქვენ მოისმინთ,  
როგორ ვამბობ:  
— გადამიყვარდა,  
მაგრამ არ იცით,  
როგორ ვამბობ:  
— მიყვარდა ერთხელ.

\*\*\*  
ინყებით მუდამ ერთნაირად შეუდარებლად!  
მაინც ბავშვივით,  
მოწყვებას გთხოვთ, რომ  
— ბიჯითაც,  
არ გამიტყუოთ,  
ამინდებო, მშვიდი დარებით,  
თუ თვალი მაინც ქარიშხლიან  
ცისკენ  
გიჭირავთ!

ნეტავ ერთხელაც დასცდეს ამ გულს:  
— „არ მენაღვლებით“  
და დასასრულის სიდიადის დაჲყვეს დინებას,  
თქვენ არ გინახავთ,  
ყოველ ჯერზე, როცა მთავრდებით,  
რა გულსაკლავი იცის  
თქვენი გამოტირება...

მარგუნეთ მხოლოდ  
მოლოდნი ალარაფერის,  
რომ ვერ მიმღვრევდნენ იმედები  
ღამეულ თასებს,  
რომ ვეღარც დაშრეთ!  
ვერც ჭურჭლიდან გადმოიღვაროთ!  
იყოთ დღეებო,  
აღარაფრით პირთამდე სავსე!

და მაკვირვებდეს,  
უკანასკნელ წამს შერჩენილი  
ჩემივე ცრემლის სინამდვილე და  
სამსუბუქეც,  
რომ ისე მოვკვდე,  
ბედნიერმა ვთქვა:  
— ნებიერად,  
ვარ მოყოლი ალარაფრის  
მძიმე ლოდის ქვეშ...

არ მაშინებდეს, დღე, რომელიც  
შუქს არ ატარებს...  
არც მოწყლებას ალარ გთხოვდეთ  
და ნაბიჯითაც, —  
ვერ გამიტყუოთ,  
ამინდებო,  
გამოდარებით,  
თუ თვალი მაინც ქარიშხლიან  
ცისკენ გიჭირავთ...

\*\*\*  
„მე რაღაცა მაქვსო,  
მეფეს არა აქვსო“

„მე რაღაცა მქონდა“,  
სხვას რომ არა ჰქონდა  
ქვეყნად, არვის, არსად  
და არათუ მეფეს,  
არცერთ სასახლეში  
არცერთ მეფის ქალა.  
ბრწყინვალებდა გულში,  
იყო ჩაუქრობი მისი  
ნაპერწკალი  
და ვერ ერეოდა  
ვერც წყვდადის ჩრდილი,  
ვერც უმისასვლის წყალი.  
თუმცა ფეხის მტვრადაც  
არ უჩინდათ მისი  
სხივის საჭრეთელი,  
ყველა უძმედოს იყო —  
შუქის პეშვი  
და იმედის მჭრელი.  
თქვეს,  
ვინ გაიგონა, „გლეხის ქალს“ იმედი  
ასე უბრწყინავდეს,  
რომ თვითონაც ეყოს,  
ობლის ლუკმასავით  
სხვასც უწილადოს?!  
და პარტეში ბრჭყალი  
გაპკრეს,  
ნაკვერცხლები ჰყარეს ოლარებმა,  
თითო ნაპერწკალი  
ყველამ გაიყოლა,  
მტერმაც,  
მოყვარემაც!..  
„მე რაღაცა მქონდა“,  
მისი ნაპერწკლები ახლა  
აქვთ წარმართებს;  
ჩაქრა,  
აღარა მაქვს!  
ახლა რას წამართმევთ?!

## სხვა გული

არ მინდა, ერთ დღეს სხვისი გული  
გადამინერგონ,  
მინდა, ვატარო ბავშვის გული  
ნაავადარი,  
სხვა გულმა ჩემი სიხარული როგორ  
იგემოს,  
ან მესაუკუთრე გახდეს ჩემი  
დარდის შადანის.

თუ თავბრუსსვევა  
შხამიანი ყვავილებისა  
არ გამოჟყვება,  
ის სურნელი, რითაც ვინვოდი,  
რომ დამავინყოს  
ნამი ყველა მღელვარებისა,  
მზრუნველი გულის  
გულმოღგინე გულმავინყობით.

მას შეეძლია, ლმობიერი ზიზლით  
მინამლოს,  
შეებას ყველა საიდუმლო ოთახს  
კარივით,  
რომ მსაურივით მიერთვულოს ბოლო  
წუთამდე,  
მაგრამ ვერასდროს მიღალატებს  
საკუთარივით.

## გაზაფხულის შეთამაზება

ნუ მიგზავნით მოსაწვევებს  
გაზაფხულის სასახლიდან,  
თვალს ვერ მომჭრის  
მე იმისი ჭრელა-ჭრულა  
დარბაზები,  
მისი პეშვით უკვდავების  
წყაროს წყალიც  
აღარ მინდა,  
მე იმისა სილამაზის  
წყალით აღარ  
ვლამაზდები.

უსასრულოდ ვერ დარჩება,  
დაპერდება დარაბებთან,  
ვერ მიმიმხრობს ანგარებით —  
აუწონელ ალაფითაც,  
რა ჰგონია,  
მისი მზერით ისევ ისე  
დავძრმავდები,  
თვალახვეულს ძველებურად  
გადამკიდებს ქარაფიდან...

გვერდს ავუვლი იის ფირუზს,  
იასამის ლალ-საფირონს,  
თავს შევიქცევ კარში დაყრილ  
მარცვლეულის  
ოპალის თვლით,  
ფრთებს დაგაჭრი ყველა კაბას,  
საზემო-  
სამეჯლისოს  
და ვუდგავარ საკუთარ თავს  
კარში დედინაცვალივით!

ეს ხომ მარტის დარბაზია —  
ჭირვეულის,  
არხეინის,  
ჩვევადა აქვს პირველკოცნით  
გაღვიძება ღრმა ძილიდან,  
ჩქარა უნდა გაიარო  
იმ წვიმების ხეივანი,  
ვერ მოასწროს გაზიაროს  
მისი ღრუბლის ბარძიმიდან...

საშიშია ერთი წვეთიც,  
მისი შხამის,  
კლავს და არც კლავს,  
თან სთავაზობს ყველა გამვლელს  
ცრუ იმედით დამტკარ გუბეს,  
სავსე არის ყვავილებით  
მისი მინდვრის კატაფალკა,  
ზედ მივწვები,  
თვალს დაკარგავ  
და მეც თავს მოვიმკვდარუნებ...

აქ აპრილის დარბაზია,  
ჩვენ ხომ გვისხოვს მისი კარი,  
არ შეალო!  
ფეხაკრეფით გაიარე  
დერეფანი!  
აქ, ეფაზე, ბასრი ცელით  
თმები უნდა აიკაფო  
და თმაზე არ მიიკარო  
მისი ქარის სავარცხელი...

ან მაისის მანეკენებს,  
ალვებსა და აკაციებს,  
ვინ ჩაუდგამს სულს ჩემსავით,  
მაგრამ მე მათ უკვე არ ვცნობ!  
რა გგონიათ,  
მაისის ბრა  
ისევ ისე წარმტაცია,  
რომ პეტელას მსგაცსად  
მზად ვარ  
მისმა შუქმა მიმიტაცია.

მშობლიური სურათები —  
ეს მორთული მსაჯულები —  
გადაქერცლილ სალებავში  
აცოცხლებენ ფერს და საგანს,  
აი, კიბეც,  
გამოქცეულს  
გაზაფხულის მეჯლისიდან —  
სიჩქარეში  
მე რომ ბროლის  
ქოში უნდა დამეკარგა.

მე ამ წყეულ კარნავალზე  
გული უნდა ავიყარო,  
ის კი მაინც თავგანწირულ  
ყვავილობით იმუქრება,  
ნებას რთავს, რომ შეიყვარო,  
მაგრამ თავი დაივაწყო.  
ვუპასუხებ მკვდრის ღიმილით  
გაზაფხულის შეთქმულებას!  
ამ ღიმილის განაჩენი  
მხოლოდ იმას გაუკირდეს,  
ვინც სასახლის თვალ-მარგალიტს  
ვერაფრით ვერ შელევია...

ვთქვათ:  
— შორს ჩვენგან!

ვიმეორებ:  
— გაზაფხული  
უბადრუკი!  
— უბადრუკი!  
მაგრამ,  
ღმერთო,  
ღმერთო,  
რა მშვენიერია...



მაია ნიქარიშვილი

### ნარმავლობა

როცა მათმა მეგობრებმა  
ზეცა დაკარგეს,  
რა იგრძნეს ნეტავ ვარსკვლავებმა?!

\* \* \*

შენს ნაპირამდე მოსასვლელი  
ზღვაა ბობოქარი,  
ნავის იალქნებს უსწრებს  
ჩემი ფიქრების გემი.

\* \* \*

ძველ ქუჩაზე  
უხერხული კაცი ცხოვრობდა,  
ღვინის სურნელი  
დაასწრებდა გამარჯობის თქმას,  
ხელისგულებზე უყვაოდნენ ორქიდეები.

### ემიგრაციის ფიქრები

ერთი ჭრიჭინა  
ისევ ჩემი სოფლის ცას ართობს,  
სახლის სარკმელი დამრჩა ლია.

\* \* \*

ვერსად მიდიან ლამპიონები,  
დაგანან, ჯიუტად ანათებენ  
ბნელ საქართველოს.

\* \* \*

მამალი იყოს,  
იყივლებდა ალბათ იმხელას,  
გაიღიძებდა ჩემი სოფელიც.

ნის ტოტებში გავეხირე,  
სავსე მთვარესთან მსურდა განდობა,  
მაგრამ ვერაფერს მიმიხვდა მთვარე...

\* \* \*

სანიასნი, რომელიც დასდევდა ზეცას,  
ქსოვდა ბადეს ვარსკვლავებისთვის,  
ბოლოს საკუთარმა ჩრდილმა დააფრთხო.

\* \* \*

ზღმარტლისფერია შენი ხალი  
ტუჩის კუთხესთან...  
თუ დამეკარგე,  
ამ ხმაურით შევძლებ, გიპოვი...

\* \* \*

ქარებმაც კი გაუგეს ჩემს სიჩუმეს...  
ჩვენს ქუჩაზე დადიან,  
ველარაფერს მბბობენ შენზე.

\* \* \*

ხელისგულებით  
დამაქვს ნარსული,

ყოველი ხაზის დასაწყისთან ხარ,  
დასასრულთან — შენზე ფიქრები.

\* \* \*

თონეში ჩავარდნილი პურია მთვარე,  
სევდით დამშეულ ვარსკვლავებს  
მიწისფერი ცა შემოადნათ...

\* \* \*

დაუსრულებელი  
მერცხლის ბუდეები — ჩემი თვალები,  
შენს დანახვამდე  
საკურების ჩრდილმა დააფრთხო...

### გაზაფხული

ხვალ იმედი მოფრინდება...  
ტყე მოისხამს ფოთოლს...  
ღმერთი ჩიტად გადაქცეულა!

\* \* \*

ბოდიშს ვერ მოვიხდი,  
ფეხი რომ არ დამებიჯებინა,  
შეიძლება, ვერც შეგემჩნია  
ამღვრეული ცა ჩემი თვალების.

\* \* \*

იმ სასთუმალთან  
გდარაჯობენ ჩემი ფიქრები,  
სადაც შენმა ჭალარამ ჩათვლიმა.

\* \* \*

მხოლოდ ერთ გზაზე დავყავარ ჩემს ბავშვობას —  
ცაცხვის ხეივანი  
იმ ხესთან მთავრდება,  
სადაც ბავშვობაში  
ციცინათელები დაგვსდევდნენ.

\* \* \*

შენ გახელილი დაგრჩა თვალები,  
ვარსკვლავების თვლაში  
დილამ მოგისწრო.

\* \* \*

მეგონა, ზღვას დავლევდი კოვზით  
და ყოველ ყლუბზე ჩავუთქვამდი:  
დღეს ვნახავ... ხვალ ვნახავ... ვნახავ...  
ზღვა ვერ დავლიე...

\* \* \*

მე რომ გუშინ მიყვარდა,  
ხვალ იმ შატიტელასთან  
სხვა ფარვანაც მიფრინდება  
და ასე შემდეგ...

### ნატოლის ხე

სხვისი ფიქრებით დამძიმებულო,  
შენ რა ნატორა უნდა აგიხდეს?!





## ქეთი გაბინაშვილი



### მთვარე-პედიარები

ბებიაჩემი,  
თორმეტ პატარა საფლავთან გამოტირებული,  
ცეცხლის პირს ჩამუხული,  
თითქოს ჯადოსნურ ენაზე ღოცულობდა,  
ისე ითვლიდა მიწის გულში  
ყოჩივრდებივით დამალულ შვილებს:  
ერთანა, ორანა, სამანა...

მთვარე ისე ჩამუხული,  
თითქოს ბებიაჩემი თავის ალუმინის ქვაბით  
შუაცეცხლზე ხარშავდეს კაჟლის მურაბას —  
და ვარსკვლავებს კენჭებივით აგორებს ცაზე —  
მარცვლავს წუთებს — როდის ჩამოკრავს  
უთქმელობით დამხრჩალი ღამე ბოლო განთიადს.

ქარი დაუწერელ წერილებს  
შემოდგომის ფოთლებივით აფრიალებს.  
მე ეს ოქროსფერი ბეგები მენანება —  
რომელიმე გზარეული მგზავრი, ვიცი,  
ძღლებში დაამტკრევს.

ქარია. სევდას ველარ ვარიდებ თვალს.  
მარანში ჯერ ისევ დუღს მაჭარი —  
წითელი სითხე —  
ეს დვინონ არაა — მამაჩემის სისხლია თითქოს,  
ჩემთვის გამოუნილი გალეული მაჯებიდან,  
ვსვამ და არ მათრობს.  
მე ვფხილდები დიდი ძილიდან.

იმ ძილი კი იყო სიზმრები:  
ველარ უძლებდა თავის სევდას ემა ბოვარი,  
ქარიშხლებს სადგურისენ მიჰყებოდა ანა,  
მოკეცილ ნაწნავს დასტიროდა ქალი თავადის,  
გრევის მოედანზე მარტო დადიოდა პატარა ჯალი.

ალადასტური მამაჩემის სისხლის ფერია  
და მე ვიღვიძებ!

ღილანყვეტილი პერანგივით  
ძირს ეშვება ყველა სიზმარი —  
შიშველი ხორცის მღელვარება მაგონებს ძუ ვეფხვს.

და უკვე ვიცი —  
კბილებივით რომ დააძრონ ღამეს სიტყვები  
და ყველა სათქმელს ამოართვან ენა,  
ჩემი ხმა მაინც მოეფინება ქვეყანას —  
ყველა ცასა და მიწას მიაგნებს,  
ყველა წყალს აედევნება,  
ყველა ღოდს მოედება ხაესად  
და ვერასოდეს ამოსდებენ ღაგამს!

რადგან ეს მთვარე ძალიან ჰგავს ბებიაჩემს:  
თორმეტი შეილი რომ მოსტაცა ღმერთმა,  
მან კი საკუთარი ტკივილები  
იმდენ ხანს უხახუნა ერთმანეთს,  
სანამ ცეცხლი არ გააჩალა,  
მერე მის გვერდით ისე ჩაჩრება,  
როგორც მიტოვებულ სალოცავთან

და კენჭებით თვლა ისწავლა  
13-მდე.

### გელურები

მერცხლებმა მიტოვებულ ბუდეებს მოაკითხეს.  
დაგვანებით ჩამოვიდნენ წელს,  
ალბათ ამიტომ თუ არ დადგა გაზაფხული.  
დაყრუებული იყო ეზო —  
თითქოს სახლისთვის ენა ამოეგლიჯოთ.  
მე კი ყოველ ღამე,  
ქარი რომ ჩამტკრეული კრამიტიდან  
ძვრებოდა სახურავში  
და ჩემი ბავშვობის შიშებს შორის დაფათურობდა,  
ყოველ ღამე, როცა  
მისი გაუთავებელი წივილი სტყიოდა სმენას,  
განთიადს ველოდი.

ველოდი, რომ გადაიწენდდა ცა ბინდს  
და მერცხლების უდარდელ ჭიკიქს გავიგონებდი.  
გავიგონებდი და ნიშნისგებით ვეტყოდი ქარს:  
აპა, მოვიდა ჩემი გაზაფხული,  
ბევრიც ახლა დამირღვი სიზმრები,  
სიზმრები უსასრულოდ ვრცელსა და ლურჯ ზღვაზე,  
ყაყაჩირების ველებზე,  
მამაჩემის ჩარგული ჯუჯა ვაშლების ყვავილობაზე,  
აივანზე გამოდგმულ ფერად ბალბებზე,  
დედაჩემი ყოველ დილით  
თავისი თბილი და რბილი ხელებით რომ ეფერება.  
აპა, დასრულდა!

აღარ გაიყინება ქუჩიში ლოთი ცეზარა,  
აღარ შეეყინებათ შვილმკვდარ დედებს  
ცრემლი სახეზე.  
აპა, მობრძანდა!  
მობრძანდა და ყველა კიდევ ერთხელ დავაჯერებთ  
საკუთარ თავს:

რომ დედამინის ღერძი წალმა დატრიალებდა,  
რომ აღარ გაფრინდებიან ბავშვები ქაფენილისენ,  
რომ არ გამოშრება მიწა და არ გახმება ვაზი,  
რომ აღარ იქნება ღალატი და შური,  
აღარ იარსებებს ბოროტება და ტკივილი,  
რომ აღარავინ შექმნის იარაღს,  
რომ მხოლოდ ცაზე კი არა,  
ჩვენს თვალებშიც ამოვა სიყვარულის მზე,  
რათა ერთმანეთს სულის უღრანები გავუნათოთ.

წელს მერცხლები გაზაფხულზე არ გამოჩენილან,  
დაგვიანებით მოაკითხეს მიტოვებულ ბუდეებს,  
მაგრამ საკუთარ სახლებში არ შეუშევს ბელურებმა.  
პატარა, მობუზულმა, მშიერმა და  
დაღლილმა ბელურებმა  
დიდხანს, დიდხანს უდარაჯეს აივანზე,  
იქამდე, სანამ მერცხლებს არ გაეფანტათ  
ბაბუანვერას ყვავილივით ყველა იმედი,  
სახლში დაბრუნების

და არ გადაიკარგნენ!

ყრუ კაცს ჰგავს სახლი.  
ძალიან ხმაურობს ეს მდუმარება  
და არ მაძლევს ძილის საშუალებას.  
და მე იმ უსიზმრო და ვერგასულ ღამეებში ვფიქრობ  
პატარა, აბუზულ,  
მავთულებზე ჩამოსკუპებულ ბელურებზე და  
მე მრცხვენია ადამიანობის გამო,  
იმის გამო, რომ არაფერიც არ გვიგავს ბელურებს.

რა იქნებოდა, ზამთრის ღამეებში  
ჩვენც ჩამოვმსხდარიყავით მავთულებზე,  
მხრებით მივკვრიდით ერთმანეთის სხეულებს და  
ასე ერთმანეთით და  
ერთმანეთისთვის არ გავყინულიყავით?!

და მერე გაზაფხულზე,  
ცა რომ დაიწენდდა ამღვრეულ მზერას,  
რა იქნებოდა, არც ჩვენ მივგეშვა არც ერთი მერცხალი  
ჩვენს სულში,  
არც ერთი მერცხალი, რომელსაც შეეშინდა  
მოახლოებული ზამთრის სუსახის  
და თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდა.

რა მოხდა, თუკი აღარ იჭიერებდნენ,  
ან და ვინ იცის, თბილი ქვეყნებისკენ რომ არ გვქონდეს  
მზერა მიმართული,  
რომ არ ველოდოთ ზამთრის გრძელ ღამეებში,  
რომ მოვა მერცხალი და მოყვანს გაზაფხულს,  
მათ, შემოდგომით ჩვენგან წასულებს,  
რომ არ ველოდოთ,  
იქნებ ჩვენც კი გვესწავლა ჭიკიკი?

რა მოხდებოდა, რამით მაინც ვგავდეთ ბელურებს...

### პეტ, ტყეობა

გამოშიგნულ ოთახს გავს სული,  
მახსოვს, რომ აქ იყო რაღაც:  
რაც მიყვარდა, მძულდა, მტკიოდა...  
ცარიელი კედლებია გული,  
ყველა სურათი ჩამოუხსნიათ და ახლა  
იესოს ხელისგულზე დარჩენილი ნამსჭვალებივით  
ატყვია ნალურსმები.

ვიცი, აქ წინათ ეკიდა ფორტო  
ქალის, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე.  
თვალები — ჭადებდამსხერეული ჭერი,  
აქ ენთო სინათლე, ახლა კი ღამე დგას —  
უვარსკვლავო ცა.  
და მე ვწევები ცივ იატაკზე,  
მაგრამ ის არა მიწა, რომ მიმიღოს.  
მინდა ვიგრძნო, რომ ადრე ჩემთანაც იყო სიცოცხლე.  
იატაკი კი ისეთი გაცვეთილია და  
იმდენი წაფეხური ამჩნევია,  
როგორც ჩემს სხეულს —  
გაულიათ, შეუწმენდიათ ლაფში გასვრილი ფეხები და  
წასულან.  
მე კი ხელებზე მაჩჩნევია ჯვარცმის ნიშანი.  
ჭრილობებიდან არ მდის მირონი,  
ეს სისხლია — წითელი წყალი.  
ახლა უკვე ძალიან გვიანია  
გონებაში რაიმეს განჭვრეტა.  
სიძველისაგან მწვანე ხავსი მოსდებია ფიქრს  
და მას ასდის ობისა და სიმუავის მწკლარტე სუნი.  
გული მერევა.  
ვწევარ საკუთარ ნარწყევში  
და ვიხრჩობი.


გარეთ კი თავგამეტებით ყვავიან ტყემლები.  
და მე მეოცედება მათი ყვავილობა,  
მათი სინაზე, მათი მოლოდინი, მათი თავმომწონება.  
ჰეი, ოქვენ, ტყემლებო,  
არავინ გაპატიებთ, არავინ გაპატიებთ  
ამ გაზაფხულს.  
ყველა ყვავილის გამო მოგინევთ პასუხის გება,  
ყველა ყვავილის გამო დაისჯებით!  
ჰეი, ტყემლებო,  
გაიბერტყეთ ეგ აღვირახსნილი,  
მომძრებით და მიმდობი სხეულები,  
და გამოით — თავები დაიხოცეთ,  
თორებ წამებით ამოგხდებათ სული.  
ჰეი, ტყემლებო,  
როგორ მეცოდებით, როგორ მტკივა  
თქვენი იმედებით ანთებული სული,  
თქვენ ხომ წარმოდგენაც არ გაქვთ  
იმ ქარებზე, რომელმაც თქვენთვის უნდა იქროლოს.  
გახმით, ტყემლებო — დაიბერტყეთ ეგ ვწებები,  
თორებ ყველა კვირტში მახათს გაგიყრიან,  
არ გაპატიებენ, არ გაპატიებენ  
ყვავილობას.  
ჰეი, ტყემლებო,  
შეხედეთ ჩემს სულს,  
საკუთარ ნარწყევში რომ იხრჩობა,  
შეხედეთ და გაიქეცით  
საკუთარი სხეულებისაგან შორს —  
იქნებ თქვენ მაინც გადარჩეთ.

### ჩილასთვის ნაზალობა!

მშიერი ძალივით დაიძურნება სხეულში შიში.  
დადი ხანია გოლგოთის გზას ვადგავარ.  
დაღლილი სული უკვე ველარ მიათრევს სხეულს —  
ვიჩიქები.  
ტიალმა მუხლებმაც დაკარგა ძალა.  
დამღალა მინამ,  
რომელსაც ათწლეულებით  
სისხლნა კლული ხელისგულებით ვაფხვიერებ.

მიწა კი აღარაა ნისლივით ფაფუკი,  
დიდი ხანია უკვე აღარ იძლევა ნაყოფს.  
ისიც ჩემსავით არის დაღლილი სიცოცხლისგან.  
დაბერდა მიწა.  
მეც დავბერდი.  
ჩამომაბერა მარტობის გრძელმა დღეებმა  
ხალხით პირთამდე გავსებულ სახლში.  
— ტყუილად წვალობ! დაანებე ამ მიწას თავი! —  
ზამთრის დამესავით მიქერნე მარწუხებს შვილები.  
ყურს არ ვათხოვებ.  
— რილასთვის წვალობ?! — ღრიალებენ ჩემი შვილები.  
მათი წითელი ხაზებით დაბზარულ მზერაში  
მგლის სიავეა.  
ჯერ კიდევ გუშინ იყო,  
როცა ისინი ღრალებდნენ,  
მე კი ხელისგულებზე ვიწვენდი და  
ქარით ატოკებული ლერნამიგით ვირწეოდი  
მათ დასამშვიდებლად.  
იმედი მქონდა....  
მათაც პეტონდათ ჩემი იმედი,  
რომ ყელა ჯერზე, როცა მუხლებს გადაიყვლეფდნენ,  
ხელისგულებზე დავიწვენდი და დავამშვიდებდი.  
ისევ ღრიალებენ და კვლავ სჭირდებათ დამშვიდება.  
რა დრო გასულა.  
როდის გადიყარა ნისლივით წლები,  
აღარ შემრჩა ხელებში ძალა,  
ჩემს ხელისგულებს ცელარ მოაქვთ იმათთვის შვება.  
მე ხმა აღარ მაქვს.  
აღარც ძალა შემორჩა მაჯებს.  
გაძალებული ცხოვრება კი  
მკვდარი ლეშივით მკიდა მხრებზე.  
და მეშინია.  
სიკვდილის არა,  
იმ ბოლო გორახის დაცემის შემდეგ  
ჩამომდგარ სიჩუმეში აბლავლებულმა სინდისმა  
არ დააყრუოს შვილები ჩემი.  
ვშიშო  
და იქნებ ამ ხმის მიჩუმების იმედად ვიბრძვი.  
მშიერი ძალის შეუცდომელი ყნოსვით  
დაიძურნება სხეულში შიში  
და ჩემს სისხლნაკლულ ხელისგულებს  
ყოველდამ ლოკავს.  
მე კი ჯიუტად  
უთენია ვდგები და ვიბრძვი —  
დაბერებული სხეულით ვეჯახირები  
ხანმრავალ მიწას.  
ჩვენი შეხვედრა რქებდამტგრეული ერკემლების  
ბრძოლას მაგონებს.  
გადაგვეხლიჩა ორთავეს შუბლი,  
სისხლი აღარ გვაქვს,  
ღია ჭრილობიდნ მორინივით მოწვეთავს ფიქრი:  
„რილასთვის წვალობ?!”

\*\*\*  
დგას ბნელი დამე და გადახსნილი მაჯებიდან  
სისხლივით უწვეთავს სიზმრები.  
იშრიტება მისი მსუყე სხეული, იფიტება, შრება.  
მეც ვიფიტები...  
მინდა, მჯეროდეს, რომ დამშრალ მდინარეზე  
გადებულ ხიდზე მდგარი ქალი მე არ ვარ!  
იმ ქალს თვალები ამოჩიჩენს,  
ყურებზე ხელისგულები ააფარეს,  
პირი ამოუკერეს...  
მაგრამ მაინც ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ემის,  
ყველაფერს ამბობს —  
ასეთი ჯადოთია შეკრული:  
განუკურნელი, სასიკვდილო ჯადო ადევს მკერდზე.  
მძიმეა, სტკირა დაშრეტილი მკერდი.  
მაგრამ ეს ტკივილი მეწყერი არა, რომ  
თავს დაატყდეს და ჩაიტანოს,  
წვეთ-წვეთობით ეცემა გულზე.  
ნაწვეთი წყლები უსერავენ გულ-მკერდ  
შავ კლდეებს —  
ჩემი გული კი კლდის არაა!  
დგას ბნელი დამე და  
უკანასკნელ სიზმრებს მშობიარობს,  
შევყურებ ჩემს ლანდს და ვეუბნები:  
დასრულდი! უნდა დანებდე! მორჩა!  
სამყაროს არ სჭირდება ქალი პოეტები!  
ღმერთო ჩემო, რა შეუსაბამოს სიტყვები:  
ქალი პოეტი, პოეტი ქალი...  
არა, ღმერთმანი, არავის არგია  
მუზებთან მწოლიარე ქალები,  
ვერასდიდებით ვერ აიტანს სამყარო ხმებს,  
რომელიც მხოლოდ შენ ჩაგესმის,  
რომელიც მხოლოდ შენთვის გასაგები  
ბეგერებითაა გაჟღენთილი!  
დანებდი! მორჩა! დაასრულე!  
არავის, არავის სჭირდება ქალი პოეტები!  
ღამეს გადახსნილი ვენებიდან  
უკანასკნელი სიზმრებიც ჩამოეშრიტა,  
და სული ველარ თავსდება იმ ქალის სხეულში,  
რომელიც დამშრალი მდინარის ხიდის მოაჯირზე დგას  
და ელოდება ხელებს,  
რომელიც გადაარჩენს, მაგრამ ამაოდა...  
სამყაროს არაფერში სჭირდება ქალი პოეტები!



## დიმა ტურავა

## იაპონური სივრცა

\* \* \*

ისმის გუგუნი  
ღამლამბით  
მატარებელის,  
რომ ეზიდება  
სანატრელი  
მოგონების ტვირთს.

\* \* \*

მარტოკაცს უთქვამს:  
„ცუდი სიზმარი არ შეგანუხებს,  
თუ ბალიშის ქვეშ დანას დამალავ,  
თუმც მეორე დანაც დაგჭირდება  
ყაჩალებისთვის“.

\* \* \*

ჩემი სამშობლო  
მხიარული სასაფლაოა,  
აქ ხომ სიკვდილი  
მოძმედ უზის  
მასპინძლის სუფრას.

\* \* \*

ცარიელია სოფლის ბილიკი.  
ისმის ჩურჩული ევგალიპტების.  
ყვავის ვენახი  
და გზას დაჰყურებს  
ანგელოზების დადგმული ჯვარი.

\* \* \*

მარტო ხარ გზაზე,  
დუმან კლდეები.  
გახარებს შენს წინ  
ლანდი უცნობის.

\* \* \*

ჩემთან ამბობენ,  
რომ ზამთარში კვდებიან უფრო.  
ბროლის მძივსავით ძვირფასია  
უმანკო თოვლზე დანამული  
მბრნყინავი ცრემლი.

\* \* \*

იდგა ზამთარი,  
და იმ ნამქერში  
დამშეულ ყორანს  
გულს უხარებდა  
უპატრონო მკვდრის გამოჩენა.  
რა ბედნიერი იყავი მაშინ,  
თოვლის გუნდა რომ გადნებოდა  
ცხელ ხელისგულზე;  
ახლა კი, როგორც დაკარგული,  
მტირალა ბავშვი,  
ტკეპნი თეთრ მიწას.

\* \* \*

ფოთოლი ძირს ეშვება.  
შავი მალულად შეექცევა  
მწიფე საფერავს.  
მოიჩეარან შემოდგომის  
ცივი ქარები.

\* \* \*

გაყრიან მიწას,  
მესაფლავე ჩამძახის ყურში:  
შენ არ უყურო,  
წესი არის —  
უცხოები რჩებიან მხოლოდ.

\* \* \*

ამ ღრიანცელში,  
ამ ხმაურში,  
ამ სიბრძეში  
მეცნობა ბგერა  
ნარსულიდან გადმიკარგული.  
ეოსის სხივი  
რომ გაყრთება ფარდების ჭრილში,  
გაქრება ლანდი  
და სიცივე დაითრგუნება.  
მშიშარა ბავშვიც მიატოვებს  
საბანში ტირილს...

\* \* \*

დეკემბრის ღამით,  
სამიჯნურო ბარათს რომ ვწერდი,  
ჩირაღდნებივით ანათებდნენ  
მანდარინები.



**მარიამ  
კოზმანიშვილი**

\*\*\*

არ შეიყვარო!  
მიძრანეს და გავჯიუტდი...  
პირუკუ რომ ეთქვათ,  
იქნებ არც შემყვარებოდი...  
ომა არ შეფრაო! —  
როგორც შემეძლო, ისე დავიმოკლე,  
რომ არ აეკრძალათ,  
მექნებოდა გრძელო, ლამაზი ომა და  
მოკლეთმიანი გოგონები შურით შემომხედავდნენ...  
ასე, სულ შეპრუნებით ვაკეთებდი ყველაფერს,  
რაზეც მკაცრ მითითებებს წითელი ნაჭერივით  
ცხვირინი მიფრიალებდნენ.  
მე ხომ სხვა ბავშვებივით უდარდელად არ მიცხოვრია...  
იქ არ ნახვიდე!  
ეს არ აიღო!  
მასთან არ იმეგობრო!  
და ასე, უსასრულოდ,  
დაუსაბამოდ.  
სულისჩაწერებამდე  
დამამკირებლად.  
„არ შეიყვარო!“ და შეგიყვარე...  
ნავედი, სადაც წასვლას მისლიდნენ...  
და ახლა, როცა შეწი დრო და დრო,  
ნებით თუ უნებლივდ, მამაჩემს ემსგავსები,  
როცა ცდილობ, თვალო ჩემი ნაბიჯები,  
აკონტროლო ჩემი თმის ფერი თუ სიგრძე,  
მიმითითო, ვისთან ვიმეგობრო...  
საკუთარ ჩარჩოები მოაციო ჩემი ოცნებები,  
მე ვამბიობ — არ ა!

არ ვმორჩილებ დადგენილ საზღვრებს,  
ჩაკეტილ წრეებს,  
ფრთხის მომსხვრევას...  
არა აკრძალვებს!  
მითითებებს!  
მუქარას — არა!  
ვერ გამოამწყვდევ ქარს ოთახში,  
ჩიტს — გალიაში.

თავისუფლება უფლება ყველა სულდგმულის...  
არა დიქტატორს,  
მოძალადეს — არა და არა,  
მხოლოდ სიყვარულს ვემორჩილები.

### ქარი ქარია

ქარი ქარია... ქარს რას დაუშლო?..  
ქარს უცხო გზების სურნელი მოაქვს...  
მოაფრიალებს ყვავილს, ალუჩის  
ან იასამნის ხუჭუჭა ფოლაქს.  
ქარი ქარია... შლევე და ცეტი...  
მიმოაქვს ჭრელი ამბების ხიბლი...  
ხან დარდს მომიგდებს, სევდიან წერტილს,  
ხან ცად მივყვარ ზღაპრების კიბით.  
ქარი ქარია... მე მიყვარს ქარი,  
რაღაცას მამცნობს ყოველთვის ახალს...  
მოდის კივილით, ზათქით და ზარით  
და შენი თმების სურნელი ახლავს.

\*\*\*

ამოალაგა დარდის ქისები...  
ამოაშავდლება...  
ამოაქვითინა...  
სათითაოდ ხსნიდა პირმოერულ ტკივილებს და  
უკვე მეორე გარდაცვლილ ვაჟს გაყინულ  
სასაუმღლოან ულაგებდა...  
ეს — უპურობისაო...  
ეს — უსამოსაბისაო...  
ეს — პურის რიგებში ყოველი ათი კაცის მერე  
ხელახლა ჩადგომისაო...  
ბნელი, ცივი, ცრემლიანი 90-იანებისაო...  
ჩემო სამწრით გამოზრდილოო,  
ჩემო გაუსარელოო...  
სუსტი მხრებით და პანია გულებით  
დარდის ლოდებმტვირთველნოო...  
დედა მოგიკედეთო...  
გახსოვს? — როგორ ჩუმად ვატარებდით  
სიღრიბის ჯვარს,  
გარეთ ღიმილიანები გავდიოდით,  
კიდეც ვმლეროდით,  
კიდეც ვიკინოდითო...  
მჭადს ვჭამდით და პურზე ვოცნებობდით,  
ხალხს მანც მაძლრები ვეგონეთო...  
გახსოვს, კლასის გამოსაშვებ საღამოზე წასვლის წინ  
კიბის ქვეშ რომ ტიროდიო?  
ერთი ძმის პერანგით, მეორის შარვლით და  
ერთადერთი ახალი ფეხსაცმლით  
რომ შეიმოსეო?..  
თავი არასდროს შეგირცხვენიათო,  
არ გიქურდიათ და არ გიმათხოვრიათო,  
მანც სუფთები და მოწესრიგებული დადიოდითო...  
მოუხვალ ახლა უბედურ მამაშენს,  
ქმას ჩაეხუტებიო...  
მე ვისთან მტოვებთო?..  
დაცლილ, ამოტირებული ხსოვნის ქისებს  
სასაუმალთან ულაგებდა  
გარდაცვლილ ქმასთან და მამასთან მიმავალ შვილს  
სამგზის მგლოვიარე ქალი,  
ორგზის მგლოვიარე დედა,  
ადამიანი, რომელმაც დაკარგა ყველაფერი  
სასაფლაოსკენ მიმავალი გზისა და  
მათი სურათების გარდა,  
კომოდის თავზე შემოწყობილი,  
ზამთრის გრძელ და ცივ ღამებში მის უსასო  
ზუზუნს რომ გაუძლებდნენ.

### გადლობა უფალს!

ნუ დაღონდები, თუ გტკივა რამე,  
მაღლობა უფალს, რომ ფეხზე დგახარ,  
რომ ზოგჯერ ცრემლით, მაგრამ ერთგულად  
უმზადებ ჯალაბს სადილს და სამხარს.  
მაღლობა უფალს, რომ არ ხარ მარტო,  
მოყვარეც რომ გყავს და მტერიც რომ გყავს...  
რომ დროს შენს კართან მარადი სატრფო  
აპრილი ისევ ხელებით მოჰყავს.

იბედნიერე, მცივანი სულზე  
თუ იცვამს შენს ლექსს, სითბოთი ნაქსოვს...  
თუ ღმერთს, უთვალავ მისამართს შორის,  
შენი სახლის გზა ყოველთვის ახსოვს.

### უცლის შვილი ხარ

არაფერი გერგო მზითვად და მემკვიდრეობად,  
ავადმყოფობის გარდა...  
მამისგან — კუჭის ტკივილი,  
დედისგან — ჰიპერტენზია...  
ჩვილობიდან შიშის არდილებს ადევნებულო...  
ცრომლის კოკანამოკიდებულო...  
მაინც ჯიუტად ზეცას მიჩრებულო და მსახურო,  
სიტყვის...

არარა გერგო წინაპრებისგან,  
კარმული ვალების გარდა...  
დარდის სუროშემობლანდულო და  
თავადაც სუროს მსგავსო,  
ბედნიერებას სუსტი თითებით რომ ებლაუჭები...  
სიხარულის ნამცეცებით კოშკის აგების მსურველო,  
ხომ ისნავლე ტკივილების ღიმილით მაღვა?  
ერთი უბრალო ბეჭედი რაა?  
ისიც არ გაქვს დედისეული,  
ხანდახან იმედდაკარგულმა ხელი რომ შეავლო და  
დედის ხელების სურნელი იგრძნო...  
უცლის შვილი ხარ.

ლევისმშობლის ძვირფასი სახელის  
მტკერთველი და უგანძოდ მდიდარი.  
რაც გაბადია,  
ყველაფერი უფლისგანაა.  
ნაკადულივით უხმაუროდ მოედინები,  
სიტყვის ლიფსისტები სხმარტალებენ,  
მზით და სინათლით აციაგებულნი,  
შენი სულის პოეზის სიკამკამეში...  
არარა გერგო წინაპართა ხელშენავლები,  
არცა რაი გაქვს მოსაპარი და დასაკარგი,  
ქურდთა და ავაზაკთა მაცდუნებელი...  
ვის რად უნდა შენი მტკივანი კუჭი და  
ქრონიკული ჰიპერტენზია?  
იარე მშვიდად,  
წყენისა და სევდის გარეშე,  
ლექსის მტრედები აღუდუნე  
გზა-გზა, მარიამ.

### ადრე თუ გვიან

ადრე თუ გვიან სულ ყველა მიდის...  
ადრე თუ გვიან ვგზირდებით ყველას...  
ადრე თუ გვიან, ადრე თუ გვიან,  
ყველაფერს დროის შამბნარი თელავს.

ადრე თუ გვიან ვკარგავთ ბავშვობას,  
ვივიყებით დღეთა უწყვეტ ქარავანს,  
ბედისგან ჩვენთვის განუთვნილ დრომდის...  
ვტოვებთ ყველას და ყველაფერს, რადგან  
ადრე თუ გვიან არყოფნა მოდის.

მივყვებით დღეთა უწყვეტ ქარავანს,  
ბედისგან ჩვენთვის განუთვნილ დრომდის...  
ვტოვებთ ყველას და ყველაფერს, რადგან  
ადრე თუ გვიან არყოფნა მოდის.

ვლილინებ...  
ძველისძველ მოტივს...

ჩუმად,

ძლიერებასაგონად...

ვფიქრობ და ვღილინებ...

ვფიქრობ და

უცდად გველნაკენივით შეძრნუნებული ვჩუმდები...

ერთი საათის წინ,

სულ რაღაც ერთი საათის წინ,

ადამიანი გარდაიცვალა (!)

ახალგაზრდა კაცი

ავტომობილით ხეს შეეჯახა და

იმ ხესთან საკუთარი სიცოცხლე ჩიტივით გაუშვა  
სხეულის დილეგიდან...

მე, რა თქმა უნდა, მეტკინა,

მეწინა,

დამენანა...

ახლა ვდგავარ ქურასთან

სადილის მოსამზადებლად,

ვდგავარ და ვლილინებ... (?)

ნუთუ ასეთი ხანმოკლეა დარდი

დაკარგულ სიცოცხლეზე?

სხვის უბედურებაზე?

ვგრძნობ აუტანელ სირცევილს

და იქვე თავის მართლებას ვიწყებ:

მე ხომ ჯერ კიდევ ბავშვმა ვისწავლე

ღილინით თავდაცვა?

გაუსაძლისა ტკივილის ჩაფარცხვა

საყვარელი მელოდიების გულში

ჩალილინებით? —

სულისშემუხუთავი შიშების დროს,  
დედაქემის უხმო ტირილისას,  
ბნელი ღამეების თეთრად თენებისას...  
და სანამ მივხვდებოდი,  
რომ იდიოტი არა,  
თვითგადარჩენის ინსტინქტს მინდობილი,  
შინაგანად ძლიერი გოგო ვიყავი,  
ყოველი წალილინებისას  
მელავებს ვიჩქმეტდი,  
დარდი რომ არ გამნელებოდა...  
ჰოდა, ახლაც,  
ბავშვობის ტებილ-მწარე სახლიდან

შორსმყოფს,

ტრაგედიებისა და განსაცდელების ჟამს,  
როცა გული გასკედობას ლამობს,  
ჩემში სამუდამოდ დარჩენილი პატარა გოგო  
საყვარელი მელოდიების გახსენებას იწყებს...  
ფიქრობს და ღილინებს...  
ფიქრობს და ღილინებს...

საკუთარი სიცოცხლე რომ გადაარჩინოს.

\*\*\*

რას წვალობ?..

რას კარგავ?..

რას ექებ?..

ცივ ღამეს

ფიქრებად

რად ძენძავ?..

ან ზამთრის

გაგთანგავს

სიცივე...

ან ქარი — აშარი,

დაგლენავს...

რას იკვლევ?..

ვის ნატრობ?..

რას ელტვი?..

არც კოშკი...

არც ოქროს

კარეტა...

ტკივილი

აგიგებს ჯებირებს,

ან დარდის ღილებში

ჩაგეტებავს...

და მაინც,

იმ დრომდე,

მანამდე,

გიყვარდეს,

ცხონდები

სხვა რითა?..

რამეთუ ქარს მიაქვს

ყოველი,

რაც კი რამ მოსულა

ქარითა.

## ნიმუში

ო, რა უცნაური,

ო, რა იდუმალი,

ო, რა სხვანაირი

ხმა... შრიალია...

ზიხარ გარინდული,

თვალებდახუჭული...

გული თითქოს სივრცის

თანაზიარია...

თითქოს გაიხსნები

ახლა ყვავილივთ,

ცისკენ აფრინდება

სული, პეპლისფრთხება...

ო, რა ადვილია

ახლა გარდასახვა...

ო, რა ადვილია

მზესთან შენივთება....

სარკმელს უკაუზებს

წვიმი, წვრილთითება...

ჰაერს აშრალებს

წვიმის მელოდია....

ტრანსში გადასვლაა...

სულის სიმსუტეები...

მარადისობასთან
